შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ქართული, როგორც მეორე ენა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

<u>გაითვალისწინეთ</u>, რომ გამოცდა <u>ხუთი</u> ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, პროფესიული ცოდნა) შედგება და წარმატების მისაღწევად საჭიროა ბარიერის გადალახვა <u>ხუთივე ნაწილში.</u>

ასევე აუცილებელია ბარიერის გადალახვა <u>მთლიან ტესტშიც.</u>

ყურადრებით გაეცანით თითოეული დავალების პირობას!

პასუხების ფურცელზე ამა თუ იმ პასუხის გადატანის წესი თან ახლავს ყოველ დავალებას.

გამოცდის მაქსიმალური ქულაა 95, ხოლო ამ ტესტში მოცემული დავალებებისა – 84.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. მოსმენა (11 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი. ტექსტს მოისმენთ ორჯერ.
ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი.
ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 1. რესპონდენტის აზრით, იმისათვის, რომ მასწავლებელმა სწორად შეარჩიოს და დაამუშაოს სასწავლო მასალა, მას განვითარებული უნდა ჰქონდეს

ა) კონსტრუქციული უნარი.
ბ) ორგანიზაციული უნარი.
გ) საკომუნიკაციო უნარი.
დ) შემოქმედებითი უნარი.

(1) 2. რესპონდენტის აზრით, მასწავლებლის მიერ სასწავლო მასალის მოძიება, შერჩევა და გადამუშავება

ა) არ არის საკმარისი სასწავლო პროცესში წარმატების მისაღწევად.
ბ) არ ნიშნავს, რომ მას განვითარებული აქვს კონსტრუქციული უნარი.
გ) ნიშნავს, რომ მას განვითარებული აქვს საკომუნიკაციო უნარი.
დ) საკმარისია სასწავლო პროცესში წარმატების მისაღწევად.

(1) 3. ქეთევან ოსიაშვილი აღნიშნავს, რომ თუ მასწავლებელი გაკვეთილის ახსნისას სახელმძღვანელოთი შემოიფარგლება,

ა) მას არ გაუჭირდება გაკვეთილის დაგეგმვა.
ბ) მას არ გაუჭირდება გაკვეთილის ჩატარება.
გ) მისი გაკვეთილი მოსწავლეებს ნაკლებად დააინტერესებს.
დ) მისი გაკვეთილი მოსწავლეთა მოწონებას დაიმსახურებს.

(1) 4. ორგანიზაციული უნარი აუცილებელია მასწავლებლისათვის, რომ

ა) ადვილად გადაამუშაოს მოპოვებული ინფორმაცია.
ბ) ადვილად შეძლოს მოსწავლეებთან კომუნიკაცია.
გ) სწორად შეარჩიოს სასწავლო მასალა.
დ) სწორად წარმართოს დაგეგმილი აქტივობები.

(1) **5. გაკვეთილზე დებატების, დისკუსიების გამართვა**

ა) აუცილებელია მოსწავლეთა თვითრეალიზაციისათვის.
ბ) აუცილებელია მოსწავლეთა შეფასებისათვის.
გ) საკმარისია სასწავლო პროცესის წარმატებისათვის.
დ) საკმარისია სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად.

(1) **6. უნარ-ჩვევებთან ერთად რა განსაზღვრავს მასწავლებლის პოპულარობას?**

ა) ასაკი.
ბ) გარეგნობა.
გ) ჩაცმულობა.
დ) ხასიათი.

(1) **7. თუ მასწავლებელი მეტსახელით მიმართავს მოსწავლეს, ეს ბავშვისათვის უმეტესად**

ა) კეთილგანწყობის გამოხატულებაა.
ბ) მისი გამორჩეულობის აღიარებაა.
გ) მტკივნეული და საწყენია.
დ) სიახლოვის გამოხატულებაა.

(1) **8. ქეთევან ოსიაშვილის აზრით, მოსწავლეებს განსაკუთრებით არ მოსწონთ, როცა**

ა) მასწავლებელი გულწრფელი არ არის.
ბ) მასწავლებელი ემოციას ვერ ფარავს.
გ) მასწავლებელს გაბრაზებული გამომეტყველება აქვს.
დ) მასწავლებლის ფიქრები ადვილად ამოსაცნობია.

(1) **9. თუ მოსწავლეს მოვუწოდებთ მიბაძოს სხვა ბავშვს, ამით**

ა) ბავშვებს აგრესიის დაძლევაში დავეხმარებით.
ბ) ბავშვებს შორის კონფლიქტს გავაღვივებთ.
გ) ბავშვს ვაგრძნობინებთ ჩვენს კეთილგანწყობას.
დ) ბავშვს ვასწავლით სხვების დაფასებას.

(1) **10. წარმოდგენილი ინტერვიუს უმთავრესი საკითხია ის,**

ა) თუ რაზეა დამოკიდებული მოსწავლეთა წარმატება სწავლაში.
ბ) თუ რა უნარ-ჩვევები განსაზღვრავს პედაგოგის წარმატებულ საქმიანობას.
გ) თუ რა ქმნის კონფლიქტურ სიტუაციებს მოსწავლეთა შორის.
დ) თუ როგორ უნდა მოემზადოს პედაგოგი გაკვეთილის ჩასატარებლად.

(1) **11. წარმოდგენილ ინტერვიუში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ,**

ა) თუ რა თემებზე სჯობს დებატების გამართვა.
ბ) თუ რა უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეს მასწავლებელს.
გ) თუ რა ხდება ხშირად მოსწავლეთა უკმაყოფილების მიზეზი.
დ) თუ როგორი გაკვეთილი მოსწონთ ბავშვებს.

II. კითხვა (28 ქულა)

(10) **ყურადღებით წაიკითხეთ რეზო ინანიშვილის მოთხრობა „დედუნა“:**

სარკმელთან მჯდარმა დედუნამ თავი ასწია. მთელი ხეობა ნესტისფრად ჩაბუნტებულიყო, წვიმაც მოდიოდა, – მოშავო, ალმაცერი. შემოღობილებთან ოსურაულთა რძალი გაშლილ ხელებს აქანავებდა და ცხვრებს მოერეკებოდა. ჭუჭყიანი ცხვრები თავაწეულნი მოგოგავდნენ, ხან ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, ხან იშლებოდნენ.

მერე მდინარის იქით, ნაზვავზე, კაცი გამოჩნდა, პატარა, თანაც – თითქოს ჩრდილი. სირბილით გამოიარა წვიმისგან ალაპ-ლაპებული ბილიკი, სირბილითვე ჩამოჭრა ბალახიანი ფერდობი, ხიდზედაც გამოვიდა და ხიდის ყურში გაჩერდა. ის რომ იქ იდგა და სოფლისკენ იყურებოდა, რიყიდან დედუნას მამა ამოვიდა, ცხენს მოუძღოდა, იმ კაცს მიუახლოვდა, რაღაცა უთხრა, ცხენსგამობმული თოკი დაიმოკლა, კაცმაც რაღაცა უპასუხა, მერე ორივენი, მამაც და ის კაციც, წამოვიდნენ. ნელ-ნელა მოდიოდ-ნენ, ცხენიც კისერდაგრძელებული მოჰყვებოდა. წვიმამ მოუხშირა და ნაბიჯი ააჩქარეს. შემოღობილებში რომ შევიდნენ, დედუნა მიხვდა, – ის პატარა კაცი ბიჭი იყო, დიდი ქურთუკის საყელო ყურებზე ჰქონდა წამოწეული, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო.

დედუნამ წიგნში წინდის ჩხირი ჩადო, დახურა, იქვე, სარკმლის რაფაზე დატოვა და პურის შკაფისკენ წამოვიდა. შკაფზე სარკე იდგა. ოთახში იმდენად დაბნელებულიყო, სარკეში რიგიანად არაფერი ჩანდა. აიღო, ფანჯარასთან მივიდა და იქ ჩაიხედა. თან სარკეში იყურებოდა, თან – გარეთ. მამა და ბიჭი სახლებს შემოეფარნენ. დედუნა ხან იკოხებოდა და ტუჩებს ბუსხავდა, ხან თვალებს აბრწყინებდა. სარკე შორსაც გასწია და ისეც ჩაიხედა. წინ ჩამოშლილი და წარბებთან ისევ ზემოთ აღუნული თმა გაისწორა, ხელისგულით დაიტკეპნა, სარკე შკაფზევე დადგა და ღუმელთან ჩაცუცქდა, მუგუზლები შეატოკა, შეშა შეუმატა. დაბლიდან მამამ დაუძახა. წამოდგა, გახუნებულ ნაქსოვ შარვალზე გადმოკეცილი კაბა ჩაიჭიმა და გარეთ გავიდა.

გარეთ წვიმა შრიალებდა. მამა და ბიჭი ეზოში შემოსულიყვნენ. ბიჭი ისევ ქურთუკის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა. მორიდებით ამოსწია სველი თავი, წამით ამოანათა თვალები და მაშინვე დედუნას მამისკენ გაიხედა. დედუნას მამას ცხენი სადგომისკენ მიჰყავდა და თან იძახდა, – წალდი გადმომიგდე, გოგო. წალდი იქვე, კედელზე, იყო მიყუდებული. დედუნამ აიღო, არ გადაუგდო, კიბე ჩაირბინა და ისე მიაწოდა.

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

მამამ ბიჭს უთხრა, ადი მაღლა, შვილო, ნუღარა სველდებიო. დედუნამ და ბიჭმა ერთმანეთს შეხედეს. ბიჭი დედუნაზე პატარა იყო, ალბათ, სამი-ოთხი წლითაც, ათისა ან თერთმეტისა. დედუნამაც სთხოვა, – ამოდი მაღლა, ძმისავ, ძალიან წვიმსო. თვითონ დაიწყო კიბეზე ასვლა, მაგრამ ბიჭს ფეხი არ მოუცვლია. იდგა თავჩაღუნული და თითქოს რაღაც ხმებს უსმენდა.

დედუნას მამამ ჩარდახიდან ფუჩეჩის კონა გამოიტანა, წალდით დაკეპა, ცხენს შეუტანა, სადგომის კარი გამოკეტა, ბიჭისკენ წამოვიდა, – რატომ მაღლა არ ახვედი, რატომ სველდებიო. ბიჭმა როგორღაც საბრალობლად გადასწია თავი და, – წავალ მეო, – ამოთქვა. მამას გაუკვირდა, – სად წახვალ, ბიჭოო! – წავალ მეო, ჩემ გზაზეო. მამამ მხარზე ხელი შემოსდო, გაახედა, – აიმ გორამდე ვერ მიხვალ, რომ დაგიღამდებაო. ბიჭს სიამაყე აეხატა სახეზე, – მე არაფრისა მეშინიაო. – შენ არაფრისა გეშინია, მაგრამ მგლებსაც რომ არ ეშინიათ შენიო?! ორივემ გაიღიმა. დედუნამ ღია კარი დაახვედრა. ბიჭს არ შეუხედავს, ისე ამოვიდა კიბეზე, ისე შევიდა შინ, იქაც ტალახშერჩენილ ფეხსაცმელზე იყურებოდა. დედუნამ მიუფერა: – არა უშავს, ძმისავ, არა უშავსო.

ბიჭმა ქურთუკი გაიხადა, დედუნამ ჩამოართვა. დედუნას მამა იძახდა: – ღმერთმა სტუმარი გამოგვიგზავნა, შეგვიძლია გამასპინძლება, თუ არაო?! როგორ არ შეგვიძლია, როგორ არ შეგვიძლიაო! – ღიმილით დაფაცურდა დედუნა. მამა და ბიჭი ღუმელს მიუსხდნენ, მამა თან მუგუზლებს ატოკებდა, თან ბიჭს ელაპარაკებოდა. დედუნა შკაფიდან თეფშებს იღებდა, ხახვს ჭრიდა, ღუმელზე დადგმულ ტაფას ერბოს უსვამდა. ბიჭს ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო და დედუნას მამას ისე უპასუხებდა. პაპას და დიდედას გაუზრდიათ, ინტერნატის მეოთხე კლასში ყოფილა, ძალიან ცუდი სიზმრები უნახავს, ნამდვილად სახლის სახურავი ჩაენგრათო, რომ არ ავიდე, არ ავხედო, არ შეიძლებაო. ჩაღუნა თავი და იყო ასე. თმა ისევ სველი ჰქონდა, დიდი, თხელი ყურები გასწითლებოდა, ისეთი საბრალობელი იერი ჰქონდა, დედუნას ძვალ-რბილი დაეწვა, – რატომ არ მოვკვდებიო! – თან ბრაზობდა, – რა დამბლა შემეყარა, რატომ ჩქარა არ ვაკეთებ, რასაც ვაკეთებო. მამაც დაღონებული იჯდა. – ლამპა აანთე, ბნელაო. – დედუნამ ლამპაც აანთო. ერბო-ხაჭოც დაწითლდა. მწნილიც ამოიღო. – აბა, მობრძანდითო, – და მამა და ბიჭი მაგიდასთან მივიდნენ. ჭამდნენ, ისევ ნელ-ნელა ლაპარაკობდნენ, დედუნა კი უყურებდა და უყურებდა. ბიჭს ხმელი, ღონიერი ხელები ჰქონდა, მაგრამ ჭამის დროს ოდნავ უკანკალებდა, ორჯერ ლუკმაც კი დაუვარდა და ძალიან შეწუხდა.

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

მამამ თქვა: – გათენდება, ამინდს შევხედავთ და ისე ვიქმთ, როგორც კარგი იქნებაო. – ბიჭმა აღარაფერი უპასუხა. მოვიდა ოსურაული, ღრეჭით შემოაბოტა, დაჯდა, – არაყი მოგვიტანე, გოგო! – იმან ბრძანა. – მოგვიტანეო, – გადმოჰღიმა მამამაც. ჩაუკირკიტდა ოსურაული ბიჭს, იმანაც გამოჰკითხა, რა და როგორ. იმანაც სინანულით იქნია თავი. დალიეს მამამ და ოსურაულმა არაყი, კიდევ დალიეს, ერთხელ კიდევ დალიეს, ოსურაულმა ჩონგური მოსთხოვა დედუნას. აფხაკუნა, აფხაკუნა, რაღაც იდუდუნა. ბიჭი იჯდა, აღარცა ჭამდა, აღარცა ლაპარაკობდა, ხან ოსურაულს შეხედავდა, ხან დედუნას მამას. ოდნავ გაეღიმებოდა ოსურაულის ამოძახილზე, – ჰაი, ბეჩავო, ოსურაულოო! და, როცა მეხუთედ თუ მეექვსედაც დალიეს არაყი, ოსურაული წამოდგა, დაემშვიდობა, გავიდა და წავიდა წვიმიან ღამეში.

– გაუშალე ლოგინი ბიჭს, დაღლილია, დაისვენოსო, – თქვა დედუნას მამამ. დედუნამ გაუშალა. თვითონ შკაფთან ჩაცუცქდა, შიგნით იყურებოდა, რაღაცებს ასწორებდა, აჩხაკუნებდა, როცა მობრუნდა, ბიჭი უკვე იწვა და კედლისკენ იყო გადაბრუნებული. მისი ტანსაცმელი სევდის მომგვრელად ეწყო სკამზე. ცოტა ხანში დედუნას მამაც დაწვა. დედუნა კი ღუმელთან დაჯდა, ლამპა მეორე ტაბურეტზე დაიდგა, ჩაუწია და წიგნის კითხვა დაიწყო. უჩვეულოდ კარგად გრძნობდა თავს. ეჩვენებოდა, რომ ამ სახლის ჭერქვეშ მძინარეებს ის აწვდიდა სიმშვიდესა და სითბოს. და მათ ეძინათ, ეძინათ ტკბილად.

დედუნა ძალიან გვიან დაწვა. რომ გაიღვიძა, შერცხვა. მამაც ამდგარიყო და ბიჭიც. მამა ამბობდა, – რა თოვლი მოსულა ეს ოხერიო, მაგრამაო, – მხარზე ხელი დაადო ბიჭს, – შენ ნუ შეგეშინდებაო, ჩემი ყარაჩა ღონიერიაო. ადექი, გოგო, ცოტა რამე გვაჭამე, მივდივართო. დედუნა უკვე ამდგარიყო. სწრაფად დაიბანა პირი. ბიჭი ახალანთებულ ღუმელთან იდგა და მილზე ადებდა თითისწვერებს. მამა ცხენის მოსართავს აკერებდა ფანჯარასთან. დედუნამ ხიწიწი გააცხელა. ისევ ამოიღო მწნილი, დააყენა ჩაიც. ბიჭი სულ იდგა და იდგა, არც ერთხელ არ გამოუხედავს დედუნასკენ. მერე დასხდნენ, ჭამეს, ჩაიც დალიეს. მამამ დედუნას უთხრა, – მე ნაშუადღევამდე მოვბრუნდებიო. – გავიდნენ კარში. ბიჭმა მხოლოდ აქ მოხედა დედუნას, – გმადლობო, ნახვამდისო! – მაშინვე მიბრუნდა, რაღაცას წამოჰკრა ფეხი, წაიბორძიკა, გასწორდა და სირბილით ჩაჰყვა დედუნას მამას კიბეზე.

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

მიდამო გადათეთრებული იყო, კიდევაც თოვდა. შეჯდა დედუნას მამა ცხენზე, შემოუჯდა ბიჭი უკან. გავიდნენ ეზოდან და წავიდნენ. წავიდნენ თოვლში გაერთიანებულ ნისლში. დედუნა აივნის ბოძთან იდგა, სციოდა, მაგრამ შინ არ შედიოდა. ეს იყო სულ. დედუნას მამამ ბიჭი თავის პაპას და დიდედას აჰგვარა. იქ ვიღაცამ უთხრა, დარდი ნუღარ გექნება, ბიჭს ინტერნატში მე ჩავაბარებო. გაშალეს სუფრა და დედუნას მამა ნაშუადღევს კი არა, კარგა შეღამებულზე ძლივს ჩამოვიდა შინ. წლებია გასული მას შემდეგ. დედუნა კიდევ უფრო გაიზარდა, ახლა უკვე ნამდვილი ქალია. არ იცის, სად არის ის ბიჭი, მაგრამ გულიგულში ისეთი ფიქრი აქვს, თითქოს მასაც ჰყავს ქვეყანაზე შვილი თუ ძმა, რომელიც, თუკი დედუნას გაუჭირდება, გაიწევს, გამგელდება, სულ ზედ შემოიფხრეწს სამოსს. ღმერთო, ნუ მოუშლი ამ ფიქრს! დედუნა კარგი ქალია.

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ **მხოლოდ ერთი**.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 12. რა არის პირველი აბზაცის ფუნქცია?

ა) ბუნების სურათის აღწერა.

ბ) დაცარიელებული სოფლის ჩვენება.

გ) დედუნას განწყობილების წარმოჩენა.

დ) მთავარი გმირების გაცნობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 13. ტროპული მეტყველების რომელი სახეობაა: „გარეთ წვიმა შრიალებდა“?

ა) გაპიროვნება.

ბ) მეტაფორა.

გ) შედარება.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 14. რომელ ამონარიდში ჩანს ბიჭის ხასიათი?

ა) „ბიჭი დედუნაზე პატარა იყო, ალბათ, სამი-ოთხი წლითაც, ათისა ან თერთმეტისა.“

ბ) „ბიჭი უკვე იწვა და კედლისკენ იყო გადაბრუნებული. მისი ტანსაცმელი სევდის მომგვრელად ეწყო სკამზე.“

გ) „დიდი ქურთუკის საყელო ყურებზე ჰქონდა წამოწეული, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო.“

დ) „მორიდებით ამოსწია სველი თავი, წამით ამოანათა თვალები და მაშინვე დედუნას მამისკენ გაიხედა.“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 15. რა ჩანს დედუნას მამის სიტყვებში: „შენ არაფრისა გეშინია, მაგრამ მგლებსაც რომ არ ეშინიათ შენიო“?

ა) აშკარა დაცინვა.

ბ) დაუნდობელი სატირა.

გ) მსუბუქი იუმორი.

დ) მწარე ირონია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 16. რომელია ფრაზეოლოგიური გამოთქმა?

ა) „ბიჭმა... საბრალობლად გადასწია თავი.“

ბ) „დედუნას ძვალ-რბილი დაეწვა.“

გ) „ჩაუკირკიტდა ოსურაული ბიჭს.“

დ) „წამით ამოანათა თვალები.“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 17. რომელ მონაკვეთში ჩანს ავტორის დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ?

ა) „ბიჭი ახალანთებულ ღუმელთან იდგა და მილზე ადებდა თითისწვერებს.“

ბ) „ბიჭს ფეხი არ მოუცვლია. იდგა თავჩაღუნული და თითქოს რაღაც ხმებს უსმენდა.“

გ) „მოვიდა ოსურაული, ღრეჭით შემოაბოტა, დაჯდა, – არაყი მოგვიტანე, გოგო! – იმან ბრძანა.“

დ) „ოსურაული წამოდგა, დაემშვიდობა, გავიდა და წავიდა წვიმიან ღამეში.“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 18. რა იყო იმის მიზეზი, რომ ღამით, როდესაც მამასა და ბიჭს ეძინათ, „დედუნა უჩვეულოდ კარგად გრძნობდა თავს“?

ა) ის კმაყოფილი იყო, რომ სტუმარმა გაახალისა მათი უფერული ყოფა.

ბ) ის მშვიდად გრძნობდა თავს, მამა და ბიჭი რომ გვერდით ეგულებოდა.

გ) მას საქმე აღარ ჰქონდა და შეეძლო მშვიდად ეკითხა წიგნი.

დ) მას სიამოვნებას ანიჭებდა მამასა და სტუმარ ბიჭზე ზრუნვა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 19. რომელი ფრაზით არის გადმოცემული დედუნას განცდები?

ა) „დედუნა აივნის ბოძთან იდგა, სციოდა, მაგრამ შინ არ შედიოდა.“

ბ) „დედუნამ ხიწიწი გააცხელა. ისევ ამოიღო მწნილი, დააყენა ჩაიც.“

გ) „ისეთი საბრალობელი იერი ჰქონდა, დედუნას ძვალ-რბილი დაეწვა.“

დ) „წინ ჩამოშლილი და წარბებთან ისევ ზემოთ აღუნული თმა გაისწორა.“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 20. რომელი ფრაზაშია გამოყენებული დიალექტური ფორმა?

ა) „ადი მაღლა, შვილო, ნუღარა სველდებიო.“

ბ) „არა უშავს, ძმისავ, არა უშავსო.“

გ) „წავალ მეო, ჩემ გზაზეო.“

დ) „წალდი გადმომიგდე, გოგოო.“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 21. რის შესახებ არ არის ამ ტექსტში საუბარი?

ა) ადამიანების მიერ ერთმანეთისადმი გამოვლენილი სითბოსა და სიკეთის შესახებ.

ბ) ერთმანეთის მიმართ ადამიანების გულგრილი დამოკიდებულების შესახებ.

გ) ობოლი ბავშვების ტკივილისა და განცდების შესახებ.

დ) შემთხვევით შეხვედრილი ადამიანების სულიერი ნათესაობის შესახებ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(8) 22. ტექსტიდან ამოღებულია 8 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი ქვემოთ მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 4 წინადადება ზედმეტია.

ქველმოქმედება და იაკობ გოგებაშვილი

ქველმოქმედებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ადამიანები, რომელთაც მატერიალური დახმარება ესაჭიროებოდათ, ყველა ქვეყანაში, ყველა დროსა თუ ეპოქაში არსებობდნენ. (1) --------. ქველმოქმედების არაერთი ფაქტია ჩვენამდე მოღწეული. ერთ-ერთი პირველი ქველმოქმედი იყო მდიდარი რომაელი სახელმწიფო მოღვაწე გაიუს ცილინიუს მეცენატი. (2) --------. სწორედ აქედან მომდინარეობს მსოფლიოში გავრცელებული სახელი – მეცენატი. (3) --------.

ქველმოქმედებით გამოირჩეოდა დიდი ქართველი პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი, „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ ავტორი იაკობ გოგებაშვილი. იგი მხოლოდ ლიტერატურული საქმიანობით არ შემოიფარგლებოდა, არამედ მონაწილეობდა ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების საქმიანობაში. (4) --------. სწორედ ამ საზოგადოებამ შეასრულა უდიდესი როლი ქართველი ხალხის განათლების საქმეში.

ყველასათვის ცნობილია, რომ იაკობ გოგებაშვილი უაღრესად უანგარო ადამიანი იყო. (5) --------. იგი საკუთარი სახსრებით ხსნიდა და ეხმარებოდა სკოლებს. ასევე მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა მწერლებს, მსახიობებს, პედაგოგებს. გარდა ამისა, იაკობს ჰყავდა პირადი სტიპენდიანტები. მის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ თბილისის სასულიერო სემინარიისა და ქართული გიმნაზიის მოსწავლეები. (6) --------.

იაკობ გოგებაშვილი სიკეთეს ისე მოკრძალებულად და უხმაუროდ აკეთებდა, რომ ახლობლებმა და მეგობრებმაც არ იცოდნენ, თუ ვის როგორი სახით ეხმარებოდა. (7) -------. ვიცით მხოლოდ ის, რომ ამ ყველაფერს აკეთებდა არა სახელისა და თავის გამოჩენისათვის, არამედ ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მწერლის ანდერძის მიხედვით, მისი ქონების დიდი ნაწილი სხვადასხვა დაწესებულებას გადაეცა. (8) --------.

გამოტოვებული წინადადებები:

ა) ამავე დროს იყვნენ შეძლებული პირებიც, რომელთაც თანაგრძნობისა და ჰუმანურობის გამოხატვა ადამიანური ღირსების საქმედ მიაჩნდათ.

ბ) ამიტომ დეტალური ინფორმაცია მის მიერ გაწეული ქველმოქმედების შესახებ არ არსებობს.

გ) გაიუს მეცენატი გარდაიცვალა ძველი წელთაღრიცხვის მე-8 წელს.

დ) განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო მან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

ე) ეს სიტყვა დღესაც მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველს ნიშნავს.

ვ) ზოგჯერ თავისი წიგნებიდან შემოსულ თანხას ის სრულად გასცემდა და თავისთვის არაფერს იტოვებდა.

ზ) თავისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი ვერაზე და წიგნების ჰონორარი კი იაკობმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ დაუტოვა.

თ) იაკობ გოგებაშვილი 1912 წლის 12 აპრილს მძიმედ გახდა ავად.

ი) იგი ისტორიაში შევიდა, როგორც მეცნიერებისა და ხელოვანების მფარველი და ქომაგი.

კ) მათ მწერალი ფულით, წიგნებით, ტანსაცმლითაც კი ეხმარებოდა.

ლ) ყოფილა დრო, როცა ბინის გადასახადიც ვერ გადაუხდია და მეგობრებს შეუფარებიათ.

მ) წიგნების გაყიდვიდან მიღებული თანხით იაკობს ვარიანში სკოლა უნდა დაეარსებინა.

ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: 22-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და გადამკვეთ უჯრედში ჩასვით **X** ნიშანი.

(10) 23. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა. თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს *(გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ. ნიმუში მოცემულია).*

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

1. ტოლერანტობა მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან tolere, რაც ატანას, მოთმენას, შემწყნარებლობას ნიშნავს. ეს ტერმინი XVI საუკუნეში დამკვიდრდა ლათინურ და ფრანგულენოვან ლიტერატურაში. მაშინ მას მხოლოდ რელიგიური დატვირთვა ჰქონდა და სხვადასხვა აღმსარებლობის მიმართ შემწყნარებლობას ნიშნავდა. XVI-XVII საუკუნეებში რელიგიური ტოლერანტობა უკვე სამართლებრივ ცნებად ჩამოყალიბდა. მთავრობები გამოსცემდნენ იურიდიულ დოკუმენტებს, რომლებიც მოსახლეობას რელიგიურ უმცირესობებთან ტოლერანტულ ქცევას აკისრებდა, ვინაიდან გაჩნდა აუცილებლობა იმისა, რომ სხვადასხვა მრწამსისა თუ რელიგიური შეხედულების ადამიანებს შესძლებოდათ შედარებით მშვიდი თანაცხოვრება ერთ კონკრეტულ სივრცეში.
2. ტოლერანტობა გამორიცხავს ყოველგვარ ძალადობასა და აგრესიას. ეს ადამიანის ცხოვრების წესია, როდესაც მან იცის საკუთარი თავისუფლების ფასი და აღიარებს სხვის თავისუფლებასაც. ტოლერანტობა თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი ღირებულებაა. თუმცა ეს წინააღმდეგობა მის მნიშვნელობას კი არ ამცირებს, არამედ იმ სამყაროს სირთულეს ასახავს, რომელშიც ცხოვრება უხდება დღეს ადამიანს. ეს არ არის უბრალოდ შემწყნარებლობა, არამედ უნარია – იცხოვრო თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც ხასიათდება ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურული მრავალფეროვნებით. ეს არის უნარი, გაიგო და აღიარო სხვისი უფლებები. ეს არის სურვილი, მიიღო ან მოითმინო ის, რასაც არ ეთანხმები, პატივი სცე სხვის შეხედულებებს, რასას, რელიგიას.

წინადადებებზე გადასვლა

3. ბავშვი ბუნებით შემწყნარებელია და გარემოს ისეთს იღებს, როგორიც არის. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა მშობლების კანის ფერს, რელიგიურ თუ პოლიტიკურ შეხედულებებს. ის ბუნებით ტოლერანტულია ამ ყველაფრის მიმართ, თუმცა კონკრეტული დამოკიდებულება ამა თუ იმ პირის ან მოვლენის მიმართ მას თანდათანობით უყალიბდება მშობლებთან ურთიერთობის შედეგად პირობითი კატეგორიებით – ეს კარგია, ეს ცუდია, დაშვებისა და აკრძალვების (შეიძლება/არ შეიძლება) გზით. სხვისი რელიგიური აღმსარებლობის, შეხედულებების და ა. შ. პატივისცემა ადამიანმა აუცილებლად ბავშვობის ასაკიდან უნდა ისწავლოს ჯერ ოჯახში, შემდეგ – სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში, რათა შეძლოს განსხვავებული კულტურის, რასისა და რელიგიის მქონე ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება.

4. საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა, სადაც ცხოვრობენ განსხვავებული აღმსარებლობისა და ეროვნების ადამიანები. თბილისში ერთ ეზოში შეიძლება შეგვხვდეს ექვსი ან შვიდი ეროვნების ოჯახი, რომელთაც არაჩვეულებრივი მეზობლობა აქვთ და ხშირად ნათესავებიც ხდებიან. აქ ერთმანეთის გვერდით დგას ქართული და სომხური ეკლესიები, ებრაული სინაგოგა და მუსლიმური მეჩეთი. აქ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის დამოკიდებულება ტრადიციულად ტოლერანტულია.

5. ტოლერანტობა მშვიდობიანი და ჰარმონიული თანაცხოვრების აუცილებელი პირობაა. მის გარეშე საზოგადოებაში თანხმობა ვერ შენარჩუნდება. ეს არის უმნიშვნელოვანესი გზა ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის.

წინადადებებზე გადასვლა

წინადადების N	წინადადებები	დიახ	არა	აბზაცის N
0.	ბუნებით ტოლერანტულობა ნიშნავს იმას, რომ გარემო მიიღო ისეთი, როგორიც არის.	X		3
1.	განსხვავებული შეხედულებების პატივისცემას ბავშვი მხოლოდ ოჯახში სწავლობს.			
2.	XVI-XVII საუკუნეებში გაჩნდა აუცილებლობა იმისა, რომ განსხვავებული მრწამსის ადამიანებს სხვადასხვა სახელმწიფოში ეცხოვრათ.			
3.	მშობლები დაშვებისა და აკრძალვების გზით შვილების დამოკიდებულებებზე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენენ.			
4.	ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ტოლერანტობაა.			
5.	რელიგიურ უმცირესობებთან მოსახლეობის ტოლერანტულ ქცევას იურიდიული დოკუმენტები არეგულირებდა.			
6.	საქართველოში ტოლერანტული ტრადიციების დამადასტურებელია განსხვავებული ეროვნებისა თუ რელიგიის ადამიანების მშვიდობიანი თანაცხოვრება.			
7.	ტერმინი ტოლერანტობა თავდაპირველად რელიგიურ შემწყნარებლობას არ აღნიშნავდა.			
8.	ტოლერანტი ადამიანი კარგად აცნობიერებს საკუთარი თავისუფლების ფასს, სხვისი თავისუფლების აღიარება კი შეიძლება გაუჭირდეს.			
9.	ტოლერანტობა ლათინური წარმომავლობის სიტყვაა და რაღაცის ატანას ნიშნავს.			
10.	ტოლერანტობა წინააღმდეგობრივი კატეგორიაა, რადგან წინააღმდეგობრივია თანამედროვე სამყარო.			

III. წერა (20 ქულა)

24. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

ნიჭიერი ბავშვები მასწავლებლისაგან უფრო მეტ ყურადღებასა და მხარდაჭერას საჭიროებენ, ვიდრე მათი თანატოლები, რომლებიც ვერ სძლევენ პროგრამას და ჩამორჩებიან სწავლაში.

N 24 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული. იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილი!

ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც შავი ვარიანტის დასაწერად შეგიძლიათ ცარიელი ფურცლები გამოიყენოთ.

არ დაგავიწყდეთ ნაშრომის გადატანა პასუხების ფურცელზე!

IV. პროფესიული ცოდნა (25 ქულა)

(10) 25. ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები (სტრიქონში არაუმეტეს ერთისა). ზოგ სტრიქონში დაშვებულია შეცდომა, ზოგში – არა. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმები. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √ *(ნიმუში მოცემულია).*

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

ტექსტი	სწორი ვარიანტები
შალვა ამირანაშვილის სახელობის მუზეუმი ხელოვნების ნიმუშთა უდიდესი სახელ-	00. ---------- √ ----------
მწიფო საცავმუზეუმია ჩვენს ქვეყანაში. იგი დაარსდა 1932 წელს ეროვნული გალერეის	0. -- საცავ-მუზეუმია ---
ბაზაზე. მუზეუმის ფონდი წლების განმავლობაში თან და თან ივსებოდა უნიკალური	1. ----------
მასალით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 1945 წელი, როდესაც იმდროინდელმა ხელისუფლებამ	2. ----------
სამშობლოში დააბრუნეს დამოუკიდებელი საქართველოს ემიგრირებული მთავრობის მიერ	3. ----------
პარიზში გატანილი ეროვნული საგანძური, რის დიდი ნაწილი ხელოვნების მუზეუმს	4. ----------
გადაეცა. იგივე პერიოდიდან დაიწყეს მუზეუმისათვის ახალი შენობის შერჩევაზე ზრუნვა.	5. ----------
მალე მას დაუთმეს სასულიერო სემინარიის ყოფილი შენობა, რომელიც 1835 წელს იაკობ	6. ----------
ზუბალაშვილმა ააგებია შვეიცარიელ არქიტექტორს. დღეს აქ გამოფენილია უამრავი	7. ----------
ეკსპონატი: საიუველირო თუ ჭედური ნაკეთობები, ქსოვილები, ნაქარგები, მოზაიკის,	8. ----------
კედლის მხატვრობის ნიმუშები, ცნობილ ქართველ და უცხოელ ფერმწერთა ტილოები და	9. ----------
სხვ. მუზეუმის სიამაყეა ნიკო ფიროსმანის, თვითნასწავლ მხატვრის, შედევრები.	10. ----------

NN 26-37 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე.

იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილები (შავი სამუშაოს შესასრულებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ცარიელი ფურცლები).

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

გაითვალისწინეთ, NN 26-35 დავალებების პასუხები დადებითად არ შეფასდება, თუ მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომას გაასწორებთ და არ დაწერთ დავალების პირობის შესაბამის განმარტებას.

(1) 26. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *დღეს ჩემი ავტობიოგრაფიის დაწერა დამავალეს.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.

(1) 27. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *თამაზი, როდის დაბრუნდი თბილისში?*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 28. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *პეპელას ზოგი სახეობა მცენარეს აზიანებს.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 29. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ჩემმა უფროსმა ძმებმა თავისი ახალი მეგობარი გამაცნეს.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 30. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *მე და ნატო ჩემ სოფელში გავემგზავრეთ.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 31. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *არქეოლოგებმა მინიდან დამზადებული უძველესი ჭურჭელი აღმოაჩინეს.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 32. მოსწავლემ დაწერა სიტყვა: *ანსხვავებს.*
განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 33. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ბავშვებმა უნდა დაეხმარონ ერთმანეთს.*
განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 34. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ახალი ფილმის გმირები სკოლის მოსწავლეებია.*
განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 35. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *კოცონს წყალი დაასხი, რადგან უფრო სწრაფად ჩაქრეს.*
განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(3) 36. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *მას, ვისაც ზეიმში მონაწილეობის მიღება სურს, დროებით ყველა სხვა საქმე უნდა გადადოს.*

ა) გაუსწორეთ მოსწავლეს შეცდომა.

ბ) რა ტიპის შეცდომაა დაშვებული მოცემულ წინადადებაში?

გ) განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) 37. იმსჯელეთ, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურიდან ნოდარ დუმბაძის რომელ ნაწარმოებს შესთავაზებდით თქვენს მოსწავლეებს წასაკითხად და რატომ.